# თავისუფალი ვაჭრობის გავლენა საქართველოს მაკროეკონომიკურ პარამეტრებზე

**ბაჩანა ჯინჭარაძე**

**გიორგი კაპანაძე**

**მამუკა კაცაძე**

მაგისტრატურა, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია მელიქიძე

**ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2019**

# განაცხადი

როგორც ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს, ხოლო სხვა ავტორების მიერ შექმნილი მასალები არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ჯინჭარაძე ბაჩანა

კაპანაძე გიორგი

კაცაძე მამუკა

07.06.2019

# აბსტრაქტი


თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებების გაფორმება ეკონომიკის სტიმულირების ერთ-ერთი ნათელი მაგალითია. მისი საშუალებით ხდება ქვეყნის ეკონომიკის ინტეგრირება სხვა ქვეყნების სამომხმარებლო ბაზრებთან, ფართოვდება პროდუქტისა და სერვისის გასაღების პერსპექტივა.

თანამედროვე მსოფლიოში, ქვეყნების უმრავლესობა ისწრაფვის იქეთეკენ, რომ გასაღების ბაზრები გაიფართოონ და რაც შეიძლება დიდ სამომხმარებლო ბაზარზე გავიდნენ, რაც ექსპორტის, შესაბამისად ადგილობრივი წარმოების გაზრდის საშუალებაა. ასევე, ფარდობითი კონკურენტუნარიანობის თეორიის თანახმად, იმპორტით დაუბრკოლებლად შემოიტანონ ის პროდუქცია, რისი წარმოებაც სხვა ქვეყნებს გაცილებით იაფი უჯდებათ.

ნაშრომში მიმოვიხილეთ ყველა ის ხელშეკრულება, რომელიც საქართველოს, სხვადასვხა დროს აქვს გაფორმებული მსოფლიო ქვეყნებთან თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან. შევაფასეთ ის შესაძლებლობები, დადებითი თუ უარყოფითი მხარეები, რომლებსაც ეს ხელშეკრულები გვთავაზობს.

გარდა ამისა, ნაშრომის ფარგლებში, ვაწარმოეთ დაკვირვება მეორად ინფორმაციასა და სტატისტიკურ მონაცემებზე, რომლის მიხედვითაც გავაანალიზეთ თუ რა გავლენა მოახდინა ხელშეკრულების გაფორმებამ სხვადასხვა მაკროეკონომიკური პარამეტრის ცვლილებაზე.

გამომდინარე საკითხის კომპლექსურობისა, არ არსებობს უტყუარი დასკვნა, რომელიც დაამტკიცებს თავისუფალი ვაჭრობის გავლენის ხარისხს სხვადასხვა ფაქტორებზე. სწორედ ამიტომ, საკითხის მაქსიმალურად ობიექტურად გაანალიზების მიზნით, ჩავატარეთ თვისობრივი კვლევა. კვლევის ფარგლებში გამოვიკითხეთ ეკონომიკის დოქტორები და დარგის სხვა სპეციალისტები.

ინტერვიუერებს მივმართეთ წინასწარ შედგენილი კითხვარით. კომუნიკაციას ვაწარმოებდით წერილობითი, სატელეფონო და პირადი შეხვედრის ფორმატში. საბოლოო, მათთან ერთად მსჯელობისა და ობიექტური კამათის შედეგად ჩამოვაყალიბეთ დასკვნა, რომელიც წარმოდგენილია ნაშრომში.

**საძიებო სიტყვები:** თავისუფალი ვაჭრობა, საგარეო ვაჭრობა, ტარიფები, შეთანხმება.

# Abstract

The signing of free trade agreements is one of the obvious examples of economic incentives. This makes it possible to integrate the country's economy into the consumer markets of other countries, also, it expands the prospect of promoting goods and services.

In the modern world, most of countries are trying to become the part of worldwide consumer markets, which is considered as an opportunity of expanding export, respectively, local production. Also, according to the theory of relative competitiveness, free trade agreements give a chance to import products, that are cheaper to produce for other countries, uninterrupted.

In this paper, we have reviewed all the agreements signed by Georgia, with different countries or international organizations. We have evaluated the opportunities, advantages or disadvantages that this agreement offers.

In addition, we conducted observations on secondary information and statistical data, in which we analyzed the impact of the FTAs on changes in macroeconomic parameters.

For an objective analysis of the issue, we have carried out a qualitative research. In the scope of research, we interviewed doctors of economic sciences and other specialists in this field with a preliminary questionnaire.

We communicated by writing conversation, by telephone calls and personal meeting. Finally, after discussion and objective debate, we came to the conclusion presented in the paper.



**Key Words:** Free trade, Foreign Trade, Tariffs, Agreements.

# სარჩევი


დიაგრამების ჩამონათვალი ..... VII
ცხრილების ჩამონათვალი ..... VIII
აბრევიატურების ჩამონათვალი ..... IX
შესავალი ..... 1
რა არის თავისუფალი ვაჭრობა? ..... 6
ვისთან გვაქვს თავისუფალი ვაჭრობა? ..... 13
ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ..... 13
თავისუფალი ვაჭრობა ჩინეთთან ..... 16
თავისუფალი ვაჭრონა ჰონგ კონგთან ..... 17
ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია ..... 17
თავისუფალი ვაჭრობა თურქეთთან ..... 18
თავისუფალი ვაჭრობა დსთ-სა და სუამ-ის ქვეყნებთან ..... 19
მაკროეკონომიკური პარამეტრების ცვლილებაა თავისუფალი ვაჭრობის კონტექსტში 21
საგარეო ვაჭრობა ..... 21
ევროკავშირის ქვეყნებთან ..... 21
დსთ-ს ქვეყნებთან ..... 22
EFTA-ს ქვეყნებთან ..... 23
საგარეო ვაჭრობა ჩინეთთან ..... 24
საგარეო ვაჭრობა ჰონგ კონგთან ..... 25
ექსპორტი ..... 26
ევროკავშირის ქვეყნებში ..... 26
დსთ-ს ქვეყნებში ..... 27
EFTA-ს ქვეყნებში ..... 28
ექსპორტი თურქეთში ..... 28
ექსპორტი ჩინეთში ..... 29
ექსპორტი ჰონგ კონგში ..... 30
იმპორტი ..... 31
ევროკავშირის ქვეყნებიდან ..... 31
დსთ-ს ქვეყნებიდან ..... 32
EFTA-ს ქვეყნებიდან ..... 32
იმპორტი თურქეთიდან ..... 33
იმპორტი ჩინეთიდან ..... 34
იმპორტი ჰონგ კონგინდან ..... 36
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ..... 37
შედეგების ინტერპრეტაცია ..... 41
კვლევა - ექსპერტები ..... 43
შედეგების ინტერპრეტაცია ..... 47
დასკვნის სახით ..... 48
გამოყენებული ლიტერატურა - ბიბლიოგრაფია ..... 52

# დიაგრამების ჩამონათვალი


დიაგრამა 1 - საგარეო ვაჭრობა ევროკავშირის ქვეყნებთან (1995 – 2018)

დიაგრამა 2 - საგარეო ვაჭრობა დსთ-ს ქვეყნებთან (1995 – 2018)

დიაგრამა 3 - საგარეო ვაჭრობა EFTA -ს ქვეყნებთან (1995 – 2018)

დიაგრამა 4 - საგარეო ვაჭრობა ჩინეთთან (1995 – 2018)

დიაგრამა 5 - ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში (2008 – 2018)

დიაგრამა 6 - ექსპორტი EFTA-ს ქვეყნებში (2008 -2018)

დიაგრამა 7 - იმპორტი ევროკავშირის ქვეყნებიდან (2008 – 2018)

დიაგრამა 8 - იმპორტი EFTA-ს ქვეყნებიდან (2008 -2018)

დიაგრამა 9 - იმპორტი ჩინეთიდან (2008 – 2018)

## ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი 1 - საგარეო ვაჭრობა დსთ-ს ქვეყნებთან (2008 – 2018)

ცხრილი 2 - საგარეო ვაჭრობა ჩინეთთან (2012 -2018)

ცხრილი 3 - ექსპორტი ჩინეთში (2009 -2018)

ცხრილი 4 - ექსპორტი ჩინეთში (2009 – 2018)

ცხრილი 5 - იმპორტი დსთ-ს ქვეყნებიდან (2008 -2018)

ცხრილი 6 - იმპორტი ჰონგ კონგიდან (იანვარი-მარტი, 2019 წ.)

# აბრევიატურების ჩამონათვალი

FTA – Free Trade Agreements

WTO – World Trade Organizations

EU – European Union

დსთ - დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა

სუამ -  საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი და მოლდოვა

EFTA – European Free Trade Association

NAFTA - North Atlantic Free Trade Agreement

DCFTA - Deep and Comprehensive Free Trade Agreement

FDI - Foreign Direct Investment

ვმო - ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია

GATT - General Agreement on Tariffs and Trade

TRIPS - ინტელექტუალური საკუთრებით ვაჭრობის შეთანხმება

# შესავალი

თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებების გაფორმება, თავის თავში ორ ან მეტ ქვეყანას შორის საქონლისა და მომსახურების მიმოცვლას გულისხმობს. მის მიზანშეწონილობაზე თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკურ სუბიექტებსა და გარკვეული ეკონომიკური თეორიების მიმდევარ ადამიანებში აქტიურად მიმდინარეობს განხილვა. ერთი მხარე თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმების არსებობის მომხრეა, ხოლო მეორე მხარე მას სკეპტიკურად უყურებს. მომხრეები მიიჩნევენ, რომ ორ ქვეყანას შორის ვაჭრობისას, ნაკლები სავაჭრო ბარიერების არსებობის შემთხვევაში პროდუქცია მომხმარებლისთვის უფრო ხელმისაწვდომია და ასევე, ფარდობითი კონკურენტუნარიანობის თეორიის თანახმად, იმპორტით დაუბრკოლებლად შემოიტანონ ის პროდუქცია, რისი წარმოებაც სხვა ქვეყნებს გაცილებით იაფი უჯდებათ.

საპირისპიროდ, თავისუფალი ვაჭრობის მოწინააღმდეგეები მიიჩნევენ, რომ მსგავსი ტიპის მიდგომა, მათ ქვეყანაში სამუშაო ადგილების შემცირებას გამოიწვევს, დამოკიდებულს გახდის სხვა ქვეყანაზე და ქვეყნის შიდა ბაზარს იაფ პროდუქციას გაუხსნის, რომელიც ხშირ შემთხვევაში უხარისხოა. ამის ნათელი მაგალითია ნიგერია, აფრიკის უმსხვილესი ეკონომიკის მქონე ქვეყანა და სამხრეთ აფრიკა, აფრიკის ყველაზე ინდუსტრიული ქვეყანა, რომლებიც აფრიკულ ქვეყნებს შორის გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების მიღმა დარჩნენ (Chris Giles, March 23. 2015. CNN. *44 African countries agree free trade agreement, Nigeria yet to sign*).

ასევე, მსოფლიოს წამყვანმა ქვეყანა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა (აშშ), კერძოდ კი აშშ-ის პრეზიდენტმა, დონალდ ტრამპა გაპრეზიდენტებიდანვე აქტიურად შეუდგა თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებების გაუქმებას. მან მოაწერა განკარგულებას ხელი, რომლითაც აშშ-მა დატოვა წყნარი ოკეანის პარტნიორობა (TPP), რომელიც ითვალისწინებდა თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმებს შემდეგ ქვეყნებში: ავსტრალია, ბრუნეი, კანადა, ჩილე, იაპონია, მალაიზია, მექსიკა, ახალი ზელანდია, პერუ,

სინგაპური, ვიეტნამი და აშშ (BBC. *Trump executive order pulls out of TPP trade deal*).

მედიაში ხშირად შევხვდებით ამ თემაზე სადისკუსიო სტატიებს, საავტორო ბლოგებს და უბრალოდ ახალ ამბებს, რაც თემის აქტუალობიდან გამომდინარეობს. გარდა ამისა, სანქციები, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნებს უწესდებათ, მდგომარეობს იმაში, რომ მათ თავისუფალი ვაჭრობის საშუალება ეზღუდებათ ამა თუ იმ მიზეზით, მაგალითად აშშ-ის მიერ რუსეთზე დაწესებული სანქციები (Henry Meyer, Laurence Arnold and Olga Tanas. The Washington Post.), ასევე ჩინეთსა და ირანზეც (Joshua Gallu. Bloomberg.com. *U.S. Sanctions Iran's Biggest Chemical Firm Over Military Ties.*). საპირისპიროდ ჩინეთის მიერ აშშ-ზე(Paul Wiseman, Frank Bajak and Yanan Wang. The Diplomat.com *Chinese Media Suggest Rare Earth Embargo on US Amid Trade War*).

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში საქართველოს ეკონომიკური ვექტორი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებების გაფორმებისკენ გადაიხარა.

მისი საშუალებით საქართველო ცდილობს ეროვნული ეკონომიკის ინტეგრირებას სხვა ქვეყნების სამომხმარებლო ბაზრებთან, ფართოვდება პროდუქტისა და სერვისის გასაღების პერსპექტივა.

თავის მხრივ, თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის არსებობისას, საქართველოს ბაზარიც იხსნება იმ ქვეყნისთვის, ვისთანაც იდება ხელშეკრულება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ.

გამომდინარე ზემოთ აღნიშნული არგუმენტებიდან და გამომდინარე იქედან, რომ საქართველოს უკვე გაფორმებული აქვს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები ისეთ ქვეყნებთან, როგორებიცაა ჩინეთი, ევროკავშირის ქვეყნები, დსთ-ის ქვეყნებთან (გარდა რუსეთისა და უზბეკეთისა), ჰონგ-კონგთან და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან (ისლანდია, ნორვეგია, შვეიცარია, ლიხტენშტეინი), საინტერესოა თუ როგორ იყენებს ამ რეჟიმს აღნიშნულ ქვეყნებთან საქართველო (საქართველოს

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. *საქართველოში მოქმედები სავაჭრო რეჟიმები და საერთაშორისო ხელშეკრულებები*).

კვლევის ფარგლებში გამოჩნდა თუ როგორ აისახება საქართველოს მაკროეკონომიკურ პარამეტრებზე თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის არსებობა. კვლევის მიზანს წარმოადგენს ის თუ რამდენად გაიზარდა საგადასახადო ბარიერების მოხსნის შემდგომ კონკრეტულ ქვეყნებთან საგარეო ვაჭრობა, ექსპორტი, იმპორტი, ინვესტიცია, აგრეთვე, ქვეყნის საინვესტიციო გარემო. აღნიშნული ფაქტორების გაანალიზების შემდგომ, გამოჩნდა თუ რა სარგებელს იღებს საქართველოს ეკონომიკა თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებების გაფორმებით.

**საკვლევი საკითხები**

გამომდინარე აქედან, საკვლევი საკითხები იყო საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის მქონე ქვეყნებთან საგარეო ვაჭრობის პარამეტრი, რომელიც თავის მხრივ ექსპორტისა და იმპორტის მაჩვენებელია. ექსპორტი და იმპორტი, თავის მხრივ მშპ-ს ფორმირების მნიშვნელოვანი ფაქტორია. რადგან, საინვესტიციო გარემოს, შესაბამისად ქვეყნაში ინვესტიციებს სხვა ფაქტორებთან ერთად თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის ქონაც განსაზღვრავს, შესწავლილი და გამოკვლეული იქნა აღნიშნულ მიმართულებებზე თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის გავლენაც.

ნაშრომის შემდგომ ნაწილში განხილულია თავისუფალი ვაჭრობის რაობის მნიშვნელობა, ქვეყნები, ვისთანაც საქართველოს აქვს გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება, პარამეტრები, რომლებიც განსაზღვრავს ექსპორტისა და იმპორტის სურათს მანამდე და მას შემდგომ, სანამ კონკრეტულ ქვეყნასთან საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი ექნებოდა.

**საკვლევის მიზანი**

კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოს მიერ გაფორმებული თავისუფალი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები რა გავლენას ახდენს საქართველოს მაკროეკონომიკურ პარამეტრებზე. კერძოდ, რამდენად ეფექტურად იყენებს ქართული მხარე ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სავაჭრო რეჟიმებს და როგორ აისახება ის საქართველოს საგარეო ვაჭრობაზე, იმპორტზე, ექსპორტსა და თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების მქონე ქვეყნებიდან ინვესტიციების შემოდინებაზე.

**საკვლევი კითხვები**

- რამდენად ეფექტურად იყენებს საქართველო თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმებს;
- როგორ მოქმედებს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები საგარეო ვაჭრობაზე;
- როგორ მოქმედებს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები საქართველოს საექსპორტო მაჩვენებელზე;
- როგორ მოქმედებს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები საქართველოში იმპორტის მაჩვენებელზე;
- როგორ მოქმედებს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები საქართველოს საინვესტიციო გარემოზე;
- რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის თავისუფალი სავაჭრო რეჟიმები;

- რა შესაძლო ნეგატიური გავლენის მოტანა შეუძლია თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებებს;

- როგორ აისახება ტავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები კონკურენციაზე;

- შეუძლია თუ არა თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებებს ახალი სამუშაო ადგილების შექმნა;

- საქართველოს გეოგრაფიული მდგომარეობა, თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებების გაფორმების კონტექსტში, რა გამოწვევებსა და შესაძლებლობებს იძლევა.

## რა არის თავისუფალი ვაჭრობა?

ვაჭრობა სახელმწიფოებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მთავარი ინსტრუმენტი ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან გახლავთ. ისტორიულ კონტექსტში თავისუფალი ვაჭრობის კულტურის განვითარება „თავისუფალი სავაჭრო ზონების“ ჩამოყალიბებას უკავშირდება. აღნიშნული ხასიათდებოდა მცირე ზომის ტერიტორიაზე განლაგებით და გამოიყენებოდა საექსპორტოდ გამზადებული ან საიმპორტო პროდუქციის საბაჟო გადასახადებისგან გათავისუფლებული წესით შესანახად. ძირითადად მოიცავდა პორტებს, ცნობილი სახელწოდებით - პორტოფრანკო.

თავისუფალი ვაჭრობის ზონა, როგორც ეკონომიკური ინტეგრაციის ფორმა, გულისხმობს ურთიერთვაჭრობაში საბაჟო გადასახადებისა და სხვა შემზღუდავი ბარიერებისგან გათავისუფლებას. მასში შემავალი მხარეები ინარჩუნებენ მოქმედების სრულ სუვერენიტეტს მესამე ქვეყნებთან სავაჭრო თუ სხვა ტიპის ეკონომიკურ ურთიერთობაში (გიორგი ცუცქირიძე. Georgian Times. 01 თებერვალი. 2018. *თავისუფალი ეკონომიკური ზონების პერსპექტივები*).

თავისუფალი სავაჭრო ზონა საქართველოში პირველად მე-19 საუკუნის ბოლოს გამოჩნდა. გერმანიის დედაქალაქ ბერლინში გამართულ კონგრესზე, ინგლისური მხარის წარმომადგენელმა დიპლომატებმა მოითხოვეს ბათუმისთვის პორტოფრანკოს სტატუსის მინიჭება. რუსეთის მხარესთან მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, 1878 წელს, ბათუმმა ეს სტატუსი მიიღო. შესაბამისად, შავი სანაპირო ზოლზე სწორედ ბათუმი გახდა ის ქალაქი, სადაც უცხოური საქონლის თავისუფალი შემოტანა დაშვებული გახდა.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკურ წყობაში სავაჭრო ზონების ანალოგებად, თავისუფალი ვაჭრობის ორგანიზაციები და შეთანხმებები მოგვევლინენ.

მე-20 საუკუნის შუა წლებში, როდესაც გლობალური ეკონომიკა პროტექციონისტული პოლიტიკისა და მეორე მსოფლიო ომისგან მიღებულ ფატალურ შედეგებთან გამკლავებას ცდილობდა, წამყვანმა სახელწიფოებმა გადაწყვიტეს საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკის წესების ჩამოყალიბება.

შედეგად, 1948 წლის იანვარში 23 სახელმწიფოს ძალისხმევით შეიქმნა და ხელი მოეწერა ქარტია, რომელსაც დღეს ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმების (General Agreement on Tariffs and Trade – GATT) სახელით ვიცნობთ. დოკუმენტი სამი ძირითადი ნაწილისგან შედგებოდა: (1) მხარეთა ხელშეწყობის რეჟიმი და ურთიერთდათმობის პოლიტიკა, (2) საერთაშორისო ვაჭრობის წესების კრებული და (3) დოკუმენტაცია თავისუფალი ვაჭრობის ზონებისა და შეთანხმებების შესახებ.

GATT-ის ძირითადი მიზანი იყო ვაჭრობის ლიბერალიზაცია, სავაჭრო ბარიერების შემცირების, მათ შორის პროტექციონისტული ტარიფების დონის დაწევის გზით. აღნიშნულმა პოლიტიკამ მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას, რომელმაც დაახლოებით 14-ჯერ იმატა GATT-ის მოქმედების პერიოდში, მსოფლიო საშუალო ტარიფის დაახლოებით 10-ჯერ შემცირების ფონზე (ლეკაშვილი, ეკა. 2012. 54)

ვაჭრობისა და ტარიფების გენერალურმა შეთანხმება წლების განმავლობაში ბევრი დეტალი დაიმატა, ბევრიც ამოიღო, ზოგმა კი კორექტირება განიცადა. ცვლილებების საჭიროებამ და მათი სიმრავლის აუცილებლობა, დროთა განმავლობაში, შეასუსტა შეთანხმების ეფექტიანობა. აღნიშნული გამომდინარეობდა შემდეგიდან, შეთანხმებას არ გააჩნდა ინსტიტუციონალური საფუძველი და სტრუქტურა, რომელიც ერთობ მასშტაბურ და საპასუხისმგებლო საქმიანობას, რასაც გლობალური სავაჭრო პოლიტიკის შემუშავება ეწოდება, შეთანხმება თავს ვეღარ ართმევდა. შესაბამისად, დადგა გარემოება, როდესაც ახალი ტიპის ერთობლიობის ჩამოყალიბება გახდა საჭირო.

1994 წელს სწორედ 123 სახელმწიფოსგან შემდგარმა კომისიამ გამართა მოლაპარაკებები, რომლის შედეგადაც შეიქმნა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (World Trade Organization – WTO). ორგანიზაციის სტრუქტურას საფუძვლად დაედო ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმების (GATT) პრინციპები. ამასთანავე დაემატა GATS (გენერალური შეთანხმება მომსახურებით ვაჭრობაზე) და TRIPS (ინტელექტუალური საკუთრებით ვაჭრობის შეთანხმება).

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია გახდა იმ მიდგომების და პრინციპების სამართალმემკვიდრე, შესაბამისად პოლიტიკის გამგრძელებელი, რომელსაც ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმება ქადაგებდა. სწორედ ვმო გახდა თამაშის წესების დამდგენელი ორგანო, რომელიც მას მერე უზრუნველყოფს ბაზარზე დაშვების ლიბერალურ მიდგომებს. მთავარი ფუნქცია, რომელიც ვმო-მ შეითავსა ეკონომიკური/სავაჭრო კონფლიქტების შემრიგებლური გზით მოგვარება და დავების გადაწყვეტაა.

მიმდინარე მონაცემებით ორგანიზაციის შემადგენლობაში 164 წევრი ქვეყანა შედის, რომელთა უმრავლესობა დაახლოებით 30 ერთობლივი შეთანხმების ხელმომწერნი არიან. მათ შორის, საქართველო 2000 წლის 14 ივნისიდან. შეიძლება ითქვას, რომ დღესდღეობით ორგანიზაციის წევრობა და თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმება ურთიერთდამოკიდებული ცვლადები არიან. ქვეყანა ორგანიზაციის წევრი ვერ გახდება, თუ არ იქნება თანახმა სავაჭრო პოლიტიკის ლიბერალიზაციაზე და შესაბამისად, ვერ დაადასტურებს აღნიშნულს არსებული ხელშეკრულებებით.

დღესდღეობით, მსოფლიოს მასშტაბით უამრავი აქტიური შეთანხმებაა გაფორმებული, რომელიც საბაჟო დაბრკოლებების გარეშე ვაჭრობას უზრუნველყოფს. არსებობს ორი ტიპის შეთანხმება - ორმხრივი და მრავალმხრივი.

მრავალმხრივი შეთანხმებების ყველაზე ცნობილი მაგალითებია:

1. ASEAN Free Trade Area (AFTA) - „აზიის თავისუფალი ვაჭრობის ზონაში კონტინენტი სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილის წარმომადგენელი ქვეყნები შედიან. AFTA ერთ-ერთი უდიდესი და უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელია მსოფლიოს მრავალმხრივი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებებში. შეთანხმების მიზანია აზიური ქვეყნების კონკურენტუნარიანობის გაზრდა მსოფლიო მასშტაბით და წევრ ქვეყნებში დიდი მოცულობით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. ორგანიზაციის შემადგენლობაში შედიან მსოფლიო ეკონომიკის ისეთი წამყვანი მოთამაშეები, როგორებიც არიან ჩინეთი, იაპონია, სინგაპური და სხვა. შეთანხმება ჯამში 19 ქვეყანას აერთიანებს.

2. European Free Trade Association (EFTA) - ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია კონტინენტის ორ დომინანტ სავაჭრო ორგანიზაციაში შედის, მიუხედავად, იმისა რომ მთავარ კონკურენტთან (გაეროს სავაჭრო სივრცე) მასშტაბით გაცილებით მცირეა. თავდაპირველად, 1960 წელს, როდესაც ასოციაცია შეიქმნა ის 7 წევრისგან შედგებოდა. დღესდღეობით კი ისლანდია ლიხტენშტეინი ნორვეგია და შვეიცარია რჩებიან ასოციაციის წევრებად. EFTA-ს ჯამში 29 შეთანხმება აქვს გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შესახებს სხვადასხვა ქვეყნებსა და ორგანიზაციებთან.

3. African Continental Free Trade Area (AfCFTA) - აფრიკის კონტინენტური თავისუფალი ვაჭრობის ზონა ერთ-ერთი ყველაზე წარმომადგენლობითი შეთანხმებაა, რომელიც კონტინენტის 49 წევრს აერთიანებს.

4. North American Free Trade Agreement (NAFTA) - ჩრდილოამერიკული თავისუფალი სავაჭრო ზონა აშშ-ს, კანადასა და მექსიკას შორის გაფორმებული ხელშეკრულებაა. 1994 წელს გაფორმებული შეთანხმების მთავარი მიზანი გახლდათ აშშ-ს ინვესტიციების სტიმულირება მეზობელ ქვეყნებში.

როგორც რეალური პოლიტიკის გამტარებლებში, ასევე თეორიული სპექტრის წარმომადგენლებში, ბუნებრივია, არსებობს წინააღმდეგობრივი დებულებები. საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების თეორიების უმეტესობა მიდის დასკვნამდე, რომ თავისუფალი ვაჭრობა ქვეყნის კეთილდღეობას ამაღლებს. მის დადებით ეფექტებად განიხილავენ წარმოებისა და მოხმარების ზრდად ეფექტურობას, საწარმოთა ოპტიმალური ზრდის ტემპის გაზრდა, საბაზრო კონკურენციის ამაღლებასა და ა.შ.

გლობალური ვაჭრობის ლიბერალიზაციის ერთ-ერთ მთავარ მომხრედ და ხელშემწყობად „მსოფლიო ბანკი“ მიიჩნევა. ინსტიტუტი ვაჭრობას განიხილავს, როგორც გლობალური სიღარიბის დაძლევის უალტერნატივო საშუალებას.

როგორც „მსოფლიო ბანკის“ ანალიტიკური ჯგუფის მტკიცებით, თავისუფალი ვაჭრობისადმი დადებითად განწყობილი ქვეყნები გამოირჩევიან სწრაფი ეკონომიკური ზრდით, განვითარებადი პროდუქტიულობით და უზრუნველყოფს მოსახლეობისთვის შემოსავლების მაღალი დონით მომარაგებას. თავისუფალი ვაჭრობა დაბალ-შემოსავლიანი შინამეურნეობებისთვისაც სარგებლის მომტანია, რადგან ისინი მომხმარებლებს ხელმისაწვდომ საქონელსა და მომსახურებას სთავაზობენ. World Bank Group-ის საქმიანობა ბოსნია-ჰერცოგოვინაში, მაკედონიასა და ინდონეზიაში, სწორედ ამის დასტურია. ეს და მსგავსი პროექტები ხელს უწყობენ გლობალური სავაჭრო სისტემის, ღია, საიმედო და პროგნოზირებადი გარემოს, შექმნას (World Bank Group, *Stronger Open Trade Policies Enable Economic Growth for All*, 2018).

იმავე, „მსოფლიო ბანკის“ კვლევის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ გლობალური ვაჭრობა, ძირითადად, მასიური კონტეინერების გადაზიდვასთან, ულტრა-თანამედროვე გზატკეცილებთან და კომპლექსურ სავაჭრო შეთანხმებებთან ასოცირდება, დიდი წვლილი შეაქვს მსოფლიოს უღარიბესი ნაწილის განვითარებაში.

განვითარებადი ქვეყნების გლობალურ ვაჭრობაში მონაწილეობის დონის მკვეთრი ზრდა, მჭიდრო კავშირშია უკიდურესი სიღარიბის მაჩვენებლის შემცირებასთან. 2015 წელს განვითარებადი ქვეყნების ჩართულობა გლობალურ ვაჭრობაში 48%-მდე გაიზარდა, რაც 2000 წლის მაჩვენებელს 15 პროცენტული პუნქტით აღემატება (2000 – 33%). 1990 წლის მაჩვენებელთან შედარებით კი, უკიდურესად ღარიბი (მოსახლეობის ის ნაწილი, რომლის შემოსავალიც დღეში 1,25$-ს არ აღემატება) მოსახლეობის რიცხოვნობა  განახევრებულია. სწორედ ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკა გახდა განვითარებად ქვეყნებში დასაქმების სფეროს მასშტაბებისა და ხარისხის ამაღლების, ეკონომიკური ზრდისა და პროდუქტიულობის მასტიმულირებელი. (Bartley Johns. *The role of trade in ending poverty.* 2015. 15-16).

თუმცა თეორეტიკოსები არც თავისუფალი ვაჭრობის უარყოფით მხარეებს ივიწყებენ. არც ისე იშვიათად შევხვდებით ეკონომიკის მეცნიერთა ნაშრომებს, სადაც თავისუფალი ვაჭრობა სიღარიბის მასტიმულირებელ ინსტრუმენტად არის მოხსენიებული. ეკონომისტთა ამ ნაწილის აზრით, მცირეა თავისუფალი ვაჭრობის დადებითი გავლენა განვითარებადი ქვეყნის კეთილდღეობაზე, რის გამოც ეკონომისტები ქვეყნის განვითარების საწყის ფაზაში, ხშირად, პროტექციონისტული ინსტრუმენტების დაშვებას ცდილობენ.

სამხრეთ კორეელი ეკონომისტი, კემბრიჯის უნივერსიტეტის განვითარების ეკონომიკის პროფესორი, ჰა-ჯუნ ჩანგი საკუთარ ნაშრომებში კაპიტალიზმისა და თავისუფალი ბაზრის უარყოფით გავლენებზე გვესაუბრება.

ფართოდ გავრცელებული მოსაზრების საპირისპიროდ, კორეელი ეკონომისტის ნაშრომებში ვკითხულობთ, რომ განვითარებადი ქვეყნების ფუნქციონირება სახელმწიფო რეგულირებით გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე ბაზარზე ორიენტირებული რეფორმების შემდეგ. იყო გარკვეული სახის ჩავარდნები სახელმწიფო ინტერვენციებში, მაგრამ ამ ქვეყნების უმრავლესობა  გაცილებით სწრაფად ვითარდებოდა; არსებობდა შემოსავლების უფრო სამართლიანი

გადანაწილება და ნაკლები ფინანსური კრიზისები, ვიდრე ეს ბაზარზე ორიენტირებული რეფორმების შემდეგ გვქონდა. ასევე, ის, რომ ყველა მდიდარი ქვეყანა თავისუფალი ბაზრის პოლიტიკებით გამდიდრდა, არ წარმოადგენს სიმართლეს. სიმართლე აბსოლუტურად საპირისპიროა: ძალიან იშვიათი გამონაკლისების გარდა, დღევანდელი მსოფლიოს მდიდარი ქვეყნები, მათ შორის, თავისუფალი ვაჭრობისა და თავისუფალი ბაზრის აკვნად მიჩნეული დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები, გამდიდრდნენ პროტექციონიზმის, სუბსიდირებისა და სხვა მსგავსი პოლიტიკების კომბინირებით, რასაც, თავის მხრივ, დღევანდელ განვითარებად ქვეყნებს არ ურჩევენ. თავისუფალი ბაზრის პოლიტიკებმა გაამდიდრა ძალიან ცოტა ქვეყანა და გაამდიდრებს ძალიან ცოტას მომავალში (Ha-Joon Chang, 23 Things They Don't Tell You about Capitalism, 2010. 16-18).

ეკონომიკის მეცნიერებთა ნაწილი, თავისუფალ სავაჭრო პოლიტიკას უარყოფით ჭრილში განიხილავენ არაერთი ეკონომიკური სექტორისთვის. თავისუფალი ვაჭრობის ერთ-ერთი მთავარი პუნქტი კაპიტალის, მათ შორის ადამიანური კაპიტალის, თავისუფალი მიმოსვლაა. მეცნიერთა დიდი ნაწილის აზრით, აღნიშნული მოვლენა ადგილობრივი სამუშაო ძალის კონკურენტუნარიანობის შემცირებას, შესაბამისად, უმუშევრობის დონის გაზრდას უწყობს ხელს. ზუსტად ამ მიზეზის გამო განიხილავდა აშშ-ს ამჟამინდელი მთავრობა ჩრდილო-ამერიკული თავისუფალი ვაჭრობის ზონიდან გამოსვლას.

სამწუხაროდ, თუ საბედნიეროდ, გლობალური ეკონომიკის ისტორია, წარსული და აწმყოც გვანებივრებს კონკრეტული მაგალითების სიმრავლით, რომელიც ერთ ან მეორე პოზიციას ამყარებს/ასუსტებს. სწორედ ეს მოცემულობა გვიტოვებს საკმარის სივრცეს მსჯელობისთვის.

## ვისთან გვაქვს თავისუფალი ვაჭრობა?

სამომხმარებლო ბაზრის გაფართოების მიზნით, საქართველო, განსაკუთრებით კი ბოლო პერიოდში, აქტიურად ცდილობს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებების გაფორმებას სხვადასხვა ქვეყნებთან. ამ მცდელობების შედეგია ის, რომ დღეს საქართველოს გაფორმებული აქვს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები შემდეგ ქვეყნებთან: ჩინეთი, ჰონგ კონგი, ევროკავშირის ქვეყნები, თურქეთი, სუამ-ის წევრ ქვეყნებთან (საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი, მოლდოვა), დსთ-ის (დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობა) ქვეყნები, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია (ნორვეგია, ისლანდია, ლიხტენშტეინი, შვეიცარია).

გარდა ამისა, მოლაპარაკებები მიმდინარეობს აშშ-სთან(ბადრი ხატიძე. „რადიო თავისუფლება“. 23 აპრილი. 2019. აშშ-საქართველოს ურთიერთობა და , ინდოეთთან, ისრაელთან, გაერთიანებულ სამეფოსთან და იაპონიასთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. *2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია*).

თითოეულ ხელშეკრულების გაფორმა გრძელვადიან პროცესთან იყო დაკავშირებული და ეს ხელშეკრულბები თავისი არსით მთელ რიგ საგადასახადო შერავათებს ითვალისწინებენ.

### ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება

2014 წლიდან, კერძოდ კი 2014 წლის 1-ლი სექტემბრიდან, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ ხელშეკრულება გაფორმდა (DCFTA). აღნიშნულის თაობაზე მოსალაპარაკებელი სამუშაოები ჯერ კიდევ 2009 წელს დაიწყო, 2011 წლიდან კი მოლაპარაკები პროცესი ოფიციალურად დაიწყო.

სხვა თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებებისაგან განსხვავებით, DCFTA გულისხმობს როგორც საქონლით, ასევე მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციას. დამატებით, ის ითვალისწინებს ვაჭრობის პროცესთან დაკავშირებულ საკითხთა ისეთ ფართო სპექტრს, როგორიცაა სურსათის უვნებლობა, კონკურენციის პოლიტიკა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, ფინანსური მომსახურება და სხვა. ამ ხელშეკრულებით, საქართველოს ასევე დაეკისრა ვაჭრობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ევროკავშირის საკანონმდებლო ბაზასთან დაახლოება წლების განმავლობაში ეტაპობრივად.

ევროკავშირთან გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ თავებს:

1. ვაჭრობაში დაცვითი მექანიზმების არსებობა;
2. საქონლით ვაჭრობა;
3. ფიტოსანიტარული და სანიტარული ზომები;
4. ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში, სტანდარტიზაცია, აკრედიტაცია, მეტროლოგია და შესაბამისობის შეფასება;
5. ვაჭრობისა და საბაჟოს ხელშეწყობა;
6. დაფუძნება, ელექტრონული კომერცია და მომსახურებით ვაჭრობა;
7. მიმდინარე გადახდები და კაპიტალის მოძრაობა;
8. კონკურენცია;
9. საჯარო შესყიდვები;
10. ინტელექტუალური საკუთრების უფლება;
11. ვაჭრობასთან დაკავშირებული დებულებები ენერგეტიკაში;
12. გამჭირვალობა;
13. ვაჭრობა და მდგრადი განვითარება;
14. დავების მოგვარება;
15. დაახლოების ზოგადი დებულებები.

აღნიშნული ხელშეკრულების ამოქმედებიდან, საქართველოს გაეხსნა 28 ქვეყნის სამომხმარებლო ბაზარი, რომლის ზომა 500 მილიონზე მეტ ადამიანს მოიცავს. გარკვეული მოთხოვნებისა და პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, რასაც ევროკავშირის ბაზარზე შესვლა მოითხოვს, საქართველოში წარმოებული მომსახურება და საქონელი მნიშვნელოვნად გამარტივებულად შევა ევროკავშირის ბაზარზე. ასევე, აღნიშნული ხელშეკრულება ხელს შეუწყობს საქართველოს საინვესტიციო გარემოთი ინვესტორების დაინტერესებას, ქართველი მომხმარებლებისთვის უვნებელი და უსაფრთხო პროდუქციის მიწოდებას, რამას საბოლოო ჯამში დადებითი ასახვა უნდა ჰპოვოს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაზე.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო რეჟიმის ფარგლებში მიღწეული შეთანხმება უპრეცედენტოა სატარიფო ლიბერალიზაციის კუთხით. ქართული წარმოშობის ყველა პროდუქტი, თუ არ ჩავთვლით ნიორს, გარკვეული სტანდარტების დაკმაყოფილების შემთხვევაში, რაც საქონლის უსაფრთხოებასა და უვნებლობაში მდგომარეობს, ნულოვანი საბაჟო ტარიფით შევა ევროკავშირის ქვეყნების ბაზარზე. რაც შეეხება ნიორს, მასზე გარკვეული კვოტებია დაწესებული.

DCFTA-ის ფარგლებში საქართველოდან მომსახურების ექსპორტი ევროკავშირში საგრძნობლად გამარტივდა. ქართულ მომსახურების სფეროს კომპანიებს, უმეტეს სფეროებში შემდეგი შესაძლებლობები მიეცემათ: 1) დააფუძნონ ფილიალები ევროკავშირის წევრ ქვეყნებში და დაფუძნებული კომპანიების საშუალებით მომსახურება მიაწოდონ ევროპელ მომხმარებლებს; 2) კუთვნილებაში არსებულ ევროპულ ფილიალებში დაასაქმონ ქართველი მენეჯერები და სპეციალისტები; 3) პრაქტიკა გაატორონ თავიანთ თანამშრომლების ევროპულ ფილიალებში; 4) თავიანთი პროდუქციის გაყიდვის მიზნით, მოსალაპარაკებლად გაუშვან გაყიდვების წარმომამდგენლები ევროკავშირში; 5) ევროკავშირში ფილიალების გახსნის გარეშე

ევროკავშირის ბაზარს მიაწოდონ მომსახურება საქართველოდან (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. *ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმება*).

**თავისუფალი ვაჭრობა ჩინეთთან**

მომდევნო ქვეყანა, ვისთანაც საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული, ჩინეთია. ხელშეკრულებას ხელი 2017 წლის 13 მაისს მოეწერა, ძალაში კი 2018 წლის 1-ლი იანვრიდან შევიდა.

ორ ქვეყანას შორის ბოლო წლების განმავლობაში ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობები ზრდის ტენდენციით გამოირჩევა. ხელშეკრულების გაფორმებამ კი ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობები კიდევ უნდა გააღრმავოს. საქართველო რეგიონში პირველი ქვეყანაა, რომელთანაც ჩინეთმა თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება გააფორმა. გარდა ამისა, საქართველო ერთადერთი ქვეყანაა ასევე იმ კუთხით, ვისაც ევროკავშირთან და ჩინეთთან ერთდროულად აქვს გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება.

ამ ხელშეკრულებით საქართველოსთვის მსოფლიოს უმსხვილესი ბაზარი გაიხსნა, რომლის სამომხმარებლო ზომაც 1.4 მილიარდ მომხმარებელს მოიცავს.

თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების მიხედვით, ჩინეთში გასული ქართული პროდუქციის 94% საბაჟო გადასახადისგან განთავისუფლდა. საექსპორტო ჩამონათვალი შემდეგ პროდუქციებს მოიცავს: ღვინო, თხილი, თაფლი, მინერალური წყალი, ლუდი, უალკოჰოლო სასმელები, ჯემები, წვენები, ყველანაირი ბოსტნეული, ხილი, შოკოლადის ნაწარმი, ჩაი, თევზი და სხვა ზღვის პროდუქტები, მარცვლეული და, ასევე, სამრეწველო პროდუქციებიდან სამკურნალო საშუალებები, კაბელები, პლასტმასის პროდუქცია, აზოტოვანი და მინერალური სასუქების სახეობები, სარეცხის მანქანები, ფეროსილიკომანგანუმი, ლოკომოტივები და ა.შ. (საქართველოს

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. *თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის*).

**თავისუფალი ვაჭრონა ჰონგ კონგთან**

კიდევ ერთი სამომხმარებლო ბაზარი, რომელთანაც საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი აქვს, ჰონგ კონგია.

ორ ქვეყანას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებას ხელი 2018 წლის 28 ივნისს მოეწერა, ძალაში კი 2019 წლის 13 თებერვლიდან შევიდა. ამ ბაზრის ზომა 7 მილიონიონი მომხმარებლისგან შედგება.

მხარეთა შორის შეთანხმება მოიცავს ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა საბაჟო და ვაჭრობის ხელშეწყობა, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვა, ტექნიკური და ბიუროკრატიული ბარიერები ვაჭრობაში, სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები და სხვა (Forbes Georgia. *საქართველოსა და ჰონგ კონგს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეტანხმება გაფორმდა*).

**ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია**

თავისუფალი ვაჭრობის კიდევ ერთი ხელშეკრულება საქართველოს ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან (EFTA) აკავშირებს, რომელიც ოთხ ქვეყანას, ისლანდიას, ნორვეგიას, ლიხტენშტეინს და შვეიცარიას მოიცავს.

ხელშეკრულებას ხელი 2016 წლის 27 ივნისს მოეწერა. 2017 წლის შეთანხმება ძალაში შევიდა ნორვეგიასთან და ისლანდიასთან, ხოლო 2018 წლის 1-ლი მაისიდან ლიხტენშტეინთან და შვეიცარიასთან.

ხელშეკრულება მოიცავს შემდგომი სახის შეღავათებს:

1) საქონლით ვაჭრობის ლიბერალიზაცია;
2) მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაცია;
3) ერთობლივი უზრუნველყოფა საინვესტიციო შესაძლებლობების;
4) ზედმეტი ტექნიკური ბარიერების და არასაჭირო სანიტარული და ფიტოსანიტარული ნორმების თავიდან აცილება, აღმოფხვრა ან შემცირება;
5) მხარეთა სახელწმიფო შესყიდვების მეტად ლიბერალიზაცია;
6) კონკურენციის ხელშეწყობა;
7) ინტელექტუალური საკუთრების სტანდარეტბის დაცვა;
8) საერთაშორისო ვაჭრობის იმგვარად განვითარება, რომ ხელი არ შეეშალოს მდგრად განვითარებას.

(საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვიტარების სააგენტო. *საქართველოსა და EFTA-ს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება ძალაში შევიდა*).

**თავისუფალი ვაჭრობა თურქეთთან**

მომდევნო ქვეყანა, ვისთანაც საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ აქვს გაფორმებული ხელშეკრულება, მეზობელი თურქეთია. საქართველოს და თურქეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებას ხელი 2007 წლის 21 ნოემბერს მოწერა, ხოლო ძალაში 2018 წლის 1 ნოემბერს შევიდა.

ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის მომენტიდან, გაუქმდა იმპორტზე დაწესებული საბაჟო გადასახადები და მისი ექვივალენტური შედეგის მქონე გადასახადი. ორი ქვეყანა შეთანხმდა, რომ ერთმანეთთან ვაჭრობისას აღარ დააწესებენ იმპორტზე ახალ საბაჟო გადასახადებს და მისი ექვივალენტის მქონე მოსაკრებელს.

თუმცა, ორ ქვეყანას შორის საგარეო ვაჭრობისას, საქართველოდან თურქეთში გასატან პროდუქციებზე გარკვეული კვოტა დაწესდა. კვოტა შეეხო შემდეგ პროდუქტებს: ლიმონი, ყურძენი, ჩირი, კივი, ხილის და ბოსტნეულის კონსერვები, წვენები. არსებულ პროდუქტებზე კვოტა 2018 წლის 22 თებერვალს გაუქმდა(Imedinews.ge. *ქართულ ლიმონზე, კივიზე, ყურძენზე, ჩირსა და სხვა პროდუქციაზე თურქეთში დაწესებული კვოტები გაუქმდა*).

**თავისუფალი ვაჭრობა დსთ-სა და სუამ-ის ქვეყნებთან**

თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი საქართველოს ასევე დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობის (დსთ) 8 ქვეყანასთან აქვს. ეს ქვეყნებია: აზერბაიჯანი, უკრაინა, მოლდოვა, სომხეთი, ბელორუსი, ყაზახეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი). გარდა ამისა, საქართველოს, აზერბაიჯანს, უკრაინასა და მოლდოვას ასევე ცალკე აქვთ შექმნილი თავისუფალი სავაჭრო ზონა, რომელი „სუამ“-ის სახელითაა ცნობილი.

დსთ-ის ქვეყნებთან საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი 1994 წლიდან აკავშირებს, ხოლო სუამ-ის ქვეყნებთან თავისუფალი სავაჭრო ზონა 2002 წლიდან მოქმედებს.

საქართველოსა და დსთ-ის შორის გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ფარგლებში, 1) მხარეები გათავისუფლებულები არიან საბაჟო, ასევე იმ გადასახადებისა და მოსაკრებლისგან, რომელის მისი ექვივალენტურია, 2) არ იქონიონ რაოდენობრივი შეზღუდვები ვაჭრობისას, 3) ითანამშრომლონ სავაჭრო-ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებაში, 4) განავითარონ კეთილსინდისიერი კონკურენცია, 5) არ მოხდება ექსპორტ/იმპორტისას სატარიფო კონტროლი, 6) ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ინფორმაციას გაცვლიან და ითანამშრომლებენ სტანდარტიზაციის და სერტიფიცირების დარგში, 7) მხარეები ამარტივებენ

ადმინისტრაციული ფორმალობის პროცესებს, როგორებიცაა: ა) ლიცენზირება; ბ) რაოდენობრივი შეზღუდვა; გ) სავალუტო კონტროლი; დ) სტატისტიკური აღრიცხვა; დ) დოკუმენტაციის დამოწმება; ე) საქონლის შეტანასა და გატანასთან დაკავშირებულ სხვა პროცედურებს.

რაც შეეხება სუამ-ის წვერ ქვეყნებს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას, ძირითადი პრინციპები, რაც მხარეებს შორის ვაჭრობის ლიბერალიზაციას ითვალისწინებს, აქაც იგივეა. ხელშეკრულების შედეგად, მხარეები თავისუფლდებიან საბაჟო გადასახადისგან, აგრეთვე იმ მოსაკრებლისა და გადასახადისგან, რომლებიც საბაჟო გადასახადის ექვივალენტურია, არ ექნებათ რაოდენობრივი შეზღუდვები, ექსპორტისა და იმპორტისას რაოდენობრივი სატარიფო შეზღუდვების არ არსებობა, ადმინისტრაციული ფორმალობების გამარტივება და სხვა (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. *საქართველოში მოქმედი სავაჭრო რეჟიმები და საერთაშორისო ხელშეკრულებები.*).

## მაკროეკონომიკური პარამეტრების ცვლილებაა თავისუფალი ვაჭრობის კონტექსტში

თავისუფალი ვაჭრობა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ხელს უწყობს ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავებას. იმისათვის, რომ თავისუფალი ვაჭრობის შეფასება მოხდეს, საჭიროა გარკვეული მაკროეკონომიკური პარამეტრების გაზომვა, შედარება და შესაბამისი ანალიზის გაკეთება იმის თაობაზე, თუ როგორ იყენებს ამ ხელშეკრულებებს საქართველო.

შესაბამისად, კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა ის ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები, რაზეც ზეგავლენას ახდენს ტავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი. ეს პარამეტრები: საგარეო ვაჭრობა, ექსპორტი, იმპორტი, ინვესტიციები, მთლიანი შიდა პროდუქტი.

### საგარეო ვაჭრობა

**ევროკავშირის ქვეყნებთან**

საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება 2014 წელს გაფორმდა. ის ცნობილია როგორც ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის სახელით.



წყარო: საქსტატი

გრაფიკზე ჩანს, თუ როგორი ტენდენცია იყო წლების განმავლობაში. ლურჯად გამუქებული ველი აღნიშნავს პერიოდს, როცა მხარეებს შორის თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი მოქმედებს. დაწყებული 2014 წლიდან, საგარეო ვაჭრობის სტაბილური მაჩვენებელი ფიქსირდება ევროკავშირსა და საქართველოს შორის. მართალია, 2014 წელთან შედარებით, როდესაც ევროკავშირთან საგარეო ვაჭრობამ 2,996,181.16 მლრდ შეადგინა და ეს მაჩვენებელი 2015-16-17 წლებზე ცოტათი მეტია, თუმცა 2018 წლის წინასწარი მონაცემების მაჩვენებელზე ნაკლებია. ჯამში ბოლო 4 წელში ევროკავშირთან საგარეო ვაჭრობა 12%-ით გაიზარდა და მისი მოცულობა 2018 წლის წინასწარი მონაცემებით 3,363,196.37 მილიარდი ლარი შეადგინა. 2015 წელს საგარეო ვაჭრობა ევროკავშირსა და საქართველოს შორის 2,726,093.50 მილიარდი ლარი იყო, 2016 წელს 2,780,348.36, ხოლო 2017 წელს 2,855,239.25 მილიარდი ლარი.

**დსთ-ს ქვეყნებთან**

რაც შეეხება დსთ-ის ქვეყნებს, დსთ-ის ქვეყნებთან თავისუფალი სავაჭრო რეჟიმით საქართველო 1994 წლიდან სარგებლობს. წლების განმავლობაში მხარეებს შორის საგარეო ვაჭრობის მოცულობა არ იყო მასშტაბური ხასიათის, თუმცა 2005 წლიდან მხარეებს შორის საგარეო სავაჭრო ურთიერთობამ მილიარდიან ნიშნულს გადააჭარბა და მას შემდგომ ამ ნიშნულს არ ჩამოშორებია.




წყარო: საქსტატი

1995 წლიდან 2018 წლის ჭრილში, ანუ ბოლო 23 წელიწადში საგარეო სავაჭრო ბრუნვა 1583%-ით გაიზარდა, ბოლო 10 წელიწადში 72%-ით, ხოლო ბოლო 4 წელში 55%-ით.

ბოლო 10 წლის განმავლობაში მხარეებს შორის საგარეო სავაჭრო ბრუნვამ შემდეგი მონაცემებით ხასიათდებოდა:

| | |
|---|---|
| **2008 წ.** | **2,538,913.45** |
| 2009 წ. | 1,702,624.47 |
| 2010 წ. | 2,252,960.63 |
| 2011 წ. | 3,001,600.92 |
| 2012 წ. | 3,304,682.18 |
| 2013 წ. | 3,798,682.18 |
| 2014 წ. | 3,592,788.61 |
| 2015 წ. | 2,808,937.05 |
| 2016 წ. | 2,718,715.58 |
| 2017 წ. | 3,502,532.48 |
| 2018 წ. | 4,359,539.93 |

წყარო: საქსტატი

**EFTA-ს ქვეყნებთან**

საქართველოსა და EFTA-ს შორის (ნორვეგია, ლიხტენშტეინი, შვეიცარია, ისლანდია) თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება 2018 წლის 1-ლი მაისიდან მოქმედებს. ხელშეკრულების ამოქმედებიდან 1 წელი გავიდა. თუ როგორ შეცვალა აღნიშნულმა რეჟიმმა მხარეებს შორის, ამ შემთხვევაში საქართველოსა და გაერთიანებს დანარჩენს წევრ ქვეყნებს შორის საგარეო ვაჭრობა, გრაფიკზე ნათლად ჩანს.

იმ პერიოდში, როდესაც მხარეებს შორის თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი არ მოქმედებდა, საგარეო ვაჭრობა გაცილებით მცირე მოცულობას შეადგენდა, ვიდრე იმ

პერიოდში, როდესაც მხარეები თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის ფარგლებში ურთიერთობენ.




წყარო: საქსტატი

2018 წლის მონაცემებით, მხარეებს შორის საგარეო ვაჭრობამ 155,385.49 მილიონი ლარი შეადგინა. ეს მაჩვენებელი წინა წლის მაჩვენებელზე 11%-ით მეტია. 2017 წელს მხარეებს შორის საგარეო ვაჭრობის მოცულობა 139,679.55 მილიონი ლრი შეადგინა. ზუსტად 2017 წლიდან მოყოლებული მოქმედებს მხარეებს შორის თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი, თუმცა თავდაპირველად თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება EFTA-ს წევრ 2 ქვეყანასთან გაფორმდა - ნორვეგია და ისლანდია, ხოლო ლიხტენშტეინთან და შვეიცარიასთან 2018 წლის პირველ მაისს.

**საგარეო ვაჭრობა ჩინეთთან**

ჩინეთთან 2017 წელს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმებას, 2018 წელს ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავება მოჰყვა და 2018 წელს 2017 წელთან შედარებით საგარეო ვაჭრობა 10%-ით გაიზარდა და 1,031,929.88 მილიარდი ლარი შეადგინა. 2017 წელს ეს მაჩვენებელი 934,647.99 მილიონი ლარი შეადგინა.

2018 წლის მაჩვენებელი ისტორიული მაქსიმუმია, ხოლო რაც შეეხება იმ პერიოდს, როდესაც მხარეებს შორის თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი არ მოქმედებდა, საგარეო ვაჭრობის მაჩვენებელი ასე გამოიყურება:




წყარო: საქსტატი

**საგარეო ვაჭრობა ჰონგ კონგთან**

საქართველოს ჰონგ კონგთან მრავალწლიანი სავაჭრო ურთიერთობა აკავშირებს. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ექსპორტისა და იმპორტის შესახებ მონაცემებს, შესაბამისად, 2000 და 1995 წლებიდან აღრიცხავს.

მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ორ ქვეყანას შორის საგარეო ვაჭრობის მოცულობამ 704,6 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ (იგულისხმება 2019 წლის პირველი 4 თვე) საგარეო ვაჭრობის მოცულობა 22,4 მილიონ აშშ დოლარს გაუტოლდა. აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 111%-ით (24.8 მილიონი დოლარით) არის შემცირებული.



წყარო: საქსტატი

## ექსპორტი

### ევროკავშირის ქვეყნებში

თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმებისას, მთავარი პარამეტრი, რასაც ყურადღება უნდა მივაქციოთ ექსპორტის მაჩვენებელია. ის კარგად ასახავს იმ სურათს, თუ როგორ ითვისებს სამომხმარებლო ბაზარს კონკრეტული ქვეყანა.

საქართველოსა და ევროკავშირის ეკონომიკური ურთიერთობა ექსპორტის ჭრილში რომ განვიხილოთ, მას შემდგომ რაც მხარეებს შორის ხელშეკრულება გაფორმდა, საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტის მოცულობა 17%-ითაა გაზრდილი. 2018 წლის წინასწარი მონაცემებით, საქართველოდან ევროკავშირში 730,274.79 მილიონი ლარის პროდუქცია გავიდა, მაშინ როცა 2014 წელს ეს მაჩვენებელი 624,201.42 მილიონ ლარს შეადგენდა. თავისუფალი ვაჭრობის პირობებში 2014 წლიდან 2018 წლის ჩათვლით, საქართველოდან წლების მიხედვით ექსპორტირებული პროდუქციის მოცულობა შემდეგნაირად გამოიყურება:

*2014 წ. - 624,201.42; 2015 წ. - 645,214.15; 2016 წ. - 565,521.79; 2017 წ. - 655,116.06; 2018 წ. - 730,274.79*




წყარო: საქსტატი

**დსთ-ს ქვეყნებში**

რაც შეეხება დსთ-ის ქვეყნებს, დსთ-ის ქვეყნებში საქართველოდან ექსპორტი ბოლო 10 წლის განმავლობაში საკმაოდ დიდი რაოდენობით, 301%-ით გაიზარდა. 2018 წელს საქართველოდან დსთ-ის ქვეყნებში ექსპორტირებულმა პროდუქციის ღირებულებამ ჯამში 1,669,481.22 მილიარდი შეადგინა.

10 წლის მონაცემები კი შემდეგნაირად გამოიყურება:

| | |
|---|---|
| **2009 წ.** | **416,162.34** |
| 2010 წ. | 676,618.19 |
| 2011 წ. | 1,052,101.34 |
| 2012 წ. | 1,244,575.82 |
| 2013 წ. | 1,621,095.69 |
| 2014 წ. | 1,465,298.71 |
| 2015 წ. | 840,936.65 |
| 2016 წ. | 737,522.41 |
| 2017 წ. | 1,184,758.06 |
| 2018 წ. | 1,669,481.22 |

წყარო: საქსტატი

**EFTA-ს ქვეყნებში**

ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის წევრ ქვეყნებთან, საქართველოს ჯამში 474 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების პროდუქცია აქვს გატანილი ექსპორტზე. მონაცემები აღირიცხება 1995 წლიდან.

ხოლო, მას შემდეგ რაც ორგანიზაციასა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება გაფორმდა, ექსპორტირებული პროდუქციის ღირებულებამ 254,4 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი მოცულობის 54%ია.




წყარო: საქსტატი

**ექსპორტი თურქეთში**

თურქეთი საქართველოს ისტორიული სავაჭრო პარტნიორია. სტატისტიკის წარმოება კი 1995 წლიდან იწყება. როგორც, მოგეხსენებათ, საქართველოსა და თურქეთს შორის გაფორმებული ორმხრივი სავაჭრო ხელშეკრულება 2008 წლიდან მოქმედებს. ამ დროიდან მოყოლებული საქართველოდან თურქეთში 2 მილიარდ 300 მილიონზე მეტი აშშ დოლარის ღირებულების პროდუქცია გავიდა, რაც 1995-2007 წლების პერიოდში დაფიქსირებულ მაჩვენებელს თითქმის 2,5-ჯერ აღემატება



წყარო: საქსტატი

აქვე აღსანიშნავია, რომ 2008 წლამდე ექსპორტის მაქსიმალური წლიური მაჩვენებელი 123 მილიონი დოლარი გახლავთ, ხოლო თავისუფალი ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ დაფიქსირებული ექსპორტის მინიმალური წლიური მაჩვენებელი 140 მილონი აშშ დოლარია.

**ექსპორტი ჩინეთში**

ჩინეთში 2018 წელს საქართველოდან 198,034.35 მილიონი ლარის მოცულობის პროდუქცია გავიდა. აღნიშნული მაჩვენებელი 2%-ით ნაკლებია 2017 წელს დაფიქსირებულ მაჩვენებელთან შედარებით. 2017 წელს საქართველოდან ჩინეთში ჯამში 201,701.71 მილიონი ლარის ღირებულების პროდუქცია გავიდა.

აღსანიშნავია, რომ 2018 წლის მაჩვენებელი წინასწარი მაჩვენებელია და მისი საბოლოოდ დაკორექტირების შემდეგ, შესაძლოა 2%-იანი სხვაობაც დაკორექტირდეს.

ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოდან ჩინეთში ექპორტირებული პროდუქციის საერთო მოცულობა ასე გამოიყურება:

| | |
|---|---|
| 2009 წ. | 5,965.55 |

| | |
|---|---|
| 2010 წ. | 27,050.41 |
| 2011 წ. | 28,970.02 |
| 2012 წ. | 25,674.70 |
| 2013 წ. | 33,955.97 |
| 2014 წ. | 90,393.33 |
| 2015 წ. | 125,803.19 |
| 2016 წ. | 174,329.72 |
| 2017 წ. | 201,701.71 |
| 2018 წ. | 198,034.35 |

წყარო: საქსტატი

**ექსპორტი ჰონგ კონგში**

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ჰონგ კონგში ექსპორტირებული პროდუქციის ღირებულების აღრიცხვას 2000 წლიდან აწარმოებს. ამ პერიოდის განმავლობაში 32,3 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების პროდუქცია გავიდა ექსპორტზე.

აღსანიშნავია, რომ თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, 2019 წლის პირველ კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ექსპორტი 36%-ით გაიზარდა (430 ათასი აშშ დოლარი), ხოლო აპრილის თვეში 50%-ით (195,3 ათასი აშშ დოლარი). ჯამში 2019 წლის პირველი 4 თვის განმავლობაში ექსპორტირებული პროდუქციის მთლიანმა ღირებულებამ 2,2 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.




წყარო: საქსტატი

**იმპორტი**

**ევროკავშირის ქვეყნებიდან**

ევროკავშირსა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება 2014 წელს გაფორმდა. შედეგად, 2018 წელს, 2014 წელთან შედარებით, ევროკავშირიდან საქართველოში იმპორტი 11%-ით გაიზარდა, ხოლო 2017 წელთან შედარებით 1%-ით შემცირდა.

გრაფიკზე ლურჯად გაფერადებული არეალი გვიჩვენებს იმპორტის დინამიკას იმ პერიოდში, როდესაც საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება მოქმედებს. მართალია, 2011-2012-2013 წლებში ევროკავშირიდან იმპორტის დინამიკა სოლიდურია, თუმცა ის მაინც არ არის იმ ოდენობის, როგორიც 2018 წელს დაფიქსირდა, ანუ თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის არსებობის პირობებში.




წყარო: საქსტატი

## დსთ-ს ქვეყნებიდან

დსთ-ს ქვეყნებთან ბოლო 10 წლის განმავლობაში იმპორტი 109%-ით გაიზარდა. თუ 2009 წელს დსთ-დან საქართველოში 1,286,462.13 მილიარდი ლარის პროდუქცია იქნა იმპორტირებული, 2018 წლის წინასწარი მონაცემებით, ეს მაჩვენებელი 2,690,058.70 მილიარდ ლარს შეადგენს. დანარჩენი წლების მონაცემები კი შემდეგნაირია:

| | |
|---|---|
| 2008 წ. | 1,998,028.63 |
| 2009 წ. | 1,286,462.13 |
| 2010 წ. | 1,576,342.44 |
| 2011 წ. | 1,949,499.59 |
| 2012 წ. | 2,060,106.36 |
| 2013 წ. | 2,177,586.49 |
| 2014 წ. | 2,127,489.89 |
| 2015 წ. | 1,968,000.40 |
| 2016 წ. | 1,981,193.17 |
| 2017 წ. | 2,317,774.41 |

წყარო: საქსტატი

## EFTA-ს ქვეყნებიდან

1995 წლიდან დღემდე, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის წევრი ქვეყნებიდან საქართველოში იმპორტირებული პროდუქციის ჯამური ღირებულება მილიარდ 62 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს.

2016 წლიდან დღემდე, მას შემდეგ რაც ორგანიზაციასა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება გაფორმდა, საქართველოში ჯამში 235,5 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების პროდუქცია შემოვიდა, რაც მთლიანი მაჩვენებლის 22%ია.



წყარო: საქსტატი

**იმპორტი თურქეთიდან**

თურქეთთან გაფორმებული ორმხრივი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება მყისიერად აისახა ციფრებშიც. 2008 წელს იმპორტი მაჩვენებელი იმ დროისთვის რეკორდულ, 940 მილიონიან ნიშნულს გაუტოლდა (აშშ დოლარი).

საერთო ჯამში, FTA-ს ძალაში შესვლის შემდეგ, თურქეთიდან იმპორტირებული პროდუქციის ჯამური ღირებულება 1995-2007 წლებში დაფიქსირებულ მაჩვენებელს 5,3-ჯერ აღემატება, რაც 14 მილიარდი აშშ დოლარის ტოლია.



წყარო: საქსტატი

აღსანიშნავია, რომ თურქეთთან უარყოფითი სავაჭო ბალანსი დაახლოებით 12 მილიად აშშ დოლარს შეადგენს, რაშიც დიდი წვლილი სწორედ FTA-შიარსებულმა რამდენიმე დებულებამ შეიტანა, რომლის მიხედვითად, ისედაც გამორჩეული სავაჭრო მოთამაშე, საქართველოსთან მიმართებით აღმატებულ პოზიციაში აღმოჩნდა.

**იმპორტი ჩინეთიდან**

ჩინეთსა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება 2017 წლის მაისში გაფორმდა. შედეგად, 2018 წელს, 2016 წელთან შედარებით, ჩინეთიდან საქართველოში იმპორტირებული პროდუქციის მოცულობა 52%-ით გაიზარდა, ხოლო 2017 წელთან შედარებით 14%-ით გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ 2018 წელს ჩინეთიდან საქართველოში შემოტანილი პროდუქციის მოცულობის მაჩვენებელი ისტორიული მაქსიმუმია. მსგავსი შედეგი 2014 წელსაც კი არ დაფიქსირებულა. 2014 წელს, მართალია ქვეყნებს შორის თავისუფალი სავაჭრო რეჟიმი არ არსებობდა, მაგრამ მაშინდელმა მაჩვენებელმა, რომელიც 2018 წლამდე ჩინეთიდან შემოტანილი პროდუქციის ღირებულების ისტორიული მაქსიმუმი იყო, 733,467.55 მილიონი ლარი შეადგინა. 2018 წელს კი ეს მაჩვენებელი 833,895.54 მილიონ ლარზე ავიდა.



წყარო: საქსტატი

**იმპორტი ჰონგ კონგინდან**

1995 წლიდან დღემდე, ჰონგ კონგიდან საქართველოში იმპორტირებული პროდუქციის ჯამური ღირებულება 650 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს.




წყარო: საქსტატი

აღსანიშნავია, რომ 2019 წლის პირველ კვარტალში, მას შემდეგ რაც ორ ქვეყანას შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება გაფორმდა, იმპორტი ერთბაშად 115%-ით შემცირდა (18,2 მილიონი აშშ დოლარი), ხოლო აპრილში 148%-ით (6,5 მილიონი აშშ დოლარი). ჯამში 2019 წლის პირველი 4 თვის განმავლობაში იმპორტირებული პროდუქციის ღირებულებამ 20,1 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

| ჰონგ კონგი | 2019 (იანვარი - აპრილი) |
|---|---|
| **სულ** | **20,194.4** |
| იანვარი | 5,618.9 |
| თებერვალი | 4,362.5 |
| მარტი | 5,776.8 |
| **I კვ.** | **15,758.2** |
| აპრილი | 4,436.1 |

წყარო: საქსტატი

## პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

საინვესტიციო გარემო და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორია, რომელიც განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკის მიმდინარე მდგომარეობას ასახავს. სწორედ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებია ქვეყნისთვის ეკონომიკური ზრდის მიღწევის ერთ-ერთი გზა. უცხოური ინვესტიცია ზრდის ქვეყანაში არსებული კაპიტალის მარაგს, რაც უფრო მაღალ მწარმოებლურობასა და დასაქმების მაღალ დონეს უზრუნველყოფს.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდის ერთ-ერთი მასტიმულირებელი ფაქტორი, სწორედ თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულებებია. შეღავათები, რომლებსაც FTA უზრუნველყოფს ერთი-ორად ამარტივებს საქმიანობის წარმოებას და ზრდის დიდი მოგების ალბათობას.

კორელაცია FDI-სა და თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას შორის ნათლად აისახება ევროკავშირთან არსებულ ეკონომიკურ ურთიერთობებში.




წყარო: საქსტატი

როგორც ცხრილში ჩანს, 2014 წელს, DCFTA ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, ევროკავშირის ქვეყნებიდან შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით თითქმის ორჯერ, 99.1%-ით გაიზარდა და ჯამში 838,3 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, ევროკავშირის ქვეყნებიდან შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ჯამურმა ღირებულება 3,4 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა 5 წლის ჯამურ მაჩვენებელზე 1 მილიარდი აშშ დოლარით მეტია.

**ჩინეთი** - საინტერესო დინამიკით ხასიათდება საქართველოში ჩინეთიდან განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მონაცემები. საინვესტიციო მიმართულებით ჩინეთი-საქართველოს შორის რეკორდული წელი 2014 იყო, როდესაც ჩინეთიდან განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 220 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. 2015 წელს კი ერთბაშად 70%-ით შემცირდა.

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოსა და ჩინეთს შორის ორმხრივი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება ძალაში 2018 წლის 1 იანვრიდან შევიდა. სწორედ 2018 წელი აღმოჩნდა ჩინური ინვესტიციების დინამიკის გაზრდის წელი, როდესაც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელი 70%-ით გაიზარდა და 65,4 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა ორი წლის ჯამური მაჩვენებლის ტოლი აღმოჩნდა.




წყარო: საქსტატი

**თურქეთი** - თავისუფალი ხელშერულების გაფორმებამ დადებითი გავლენა იქონია თურქეთთან მიმართებითაც. 2008 წელს, მას შემდეგ რაც FTA ძალაში შევიდა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 110%-ით გაიზარდა.




წყარო: საქსტატი

ჯამურად, 2008-2018 წლის განმავლობაში თურქეთიდან განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 1 მილიარდ 212 მილიონი აშშ

დოლარი შეადგინა, რაც 1997-2007 წლებში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობას დაახლოებით 850 მილიონი აშშ დოლარით აღემატება.

## შედეგების ინტერპრეტაცია

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაკვირვების მიზანს წარმოადგენდა, განგვესაზღვრა თუ რა რაოდენობრივი ცვლილება განიცადა ამა თუ იმ მაკროეკონომიკურმა პარამეტრმა თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმების გავლენით.

კერძოდ, შესადარებლად ვსაზღვრავდით დროის ორ მონაკვეთს - 1) წელი, რომლიდანაც ოფიციალური სტატისტიკის წარმოება იწყება, თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმებამდე და 2) ხელშეკრულების გაფორმების წლიდან 2018 წლის ჩათვლით.

დაკვირვების შედეგად არაერთგვაროვანი ტენდენცია გამოვლინდა. დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმებამ სავაჭრო პარტნიორ ქვეყანასთან ექსპორტის მაჩვენებლის მასტიმულირებელი როლი შეითავსა, მაგალითად მას შემდგომ რაც საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი ხელშეკრულება გაფორმდა, საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტის მოცულობა 17%-ითაა გაზრდილი. ზოგ შემთხვევაში კი, ძირითადი გავლენა იმპორტის მაჩვენებლის საგრძნობლად გაზრდაში გამოიხატა. მაგალითად, ჩინეთსა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება 2017 წლის მაისში გაფორმდა. შედეგად, 2018 წელს, 2016 წელთან შედარებით, ჩინეთიდან საქართველოში იმპორტირებული პროდუქციის მოცულობა 52%-ითაა გაზრდილი, ხოლო 2017 წელთან შედარებით 14%-ით.

მაგალითისთვის, როგორც კვლევაშია აღნიშნული, 2014 წელს, DCFTA ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, ევროკავშირის ქვეყნებიდან შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით, თითქმის ორჯერ, 99.1%-ით გაიზარდა და ჯამში 838,3 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. ინვესტიციების კლებისა და მატების საერთო ჭრილში საუბრისას კი აუცილებლად უნდა

აღინიშნოს ის ფაქტორიც, რომ გარკვეული საინვესტიციო პროექტის დასრულების შემდგომ, შესაძლოა მოკლევადიან პერიოდში შემცირდეს ინვესტიციების საერთო მოცულობა, თუმცა გრძელვადიან პერიოდში ხელსაწყრელი საინვესტიციო გარემოს პირობებში, რომლის ერთ-ერთი განსაზღვრელი ფაქტორი საქრთველოს მიერ გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებებია, აუცილებლად განაპირობებს საქართველოში ინვესტიციების შემოდინების გაზრდას.

ასევე, ნათლად ჩანს, რომ თავისუფალი ხელშეკრულების გაფორმებამ დადებითი გავლენა იქონია საქართველოს საგარეო ვაჭრობის მთლიან მაჩვენებელზე. მაგალითისთვის 2018 წელს 12.4 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც ქვეყნის ისტორიაში საუკეთესო მაჩვენებელია. აღნიშნული ფაქტორი, ცალსახად პირდაპირ კორელაციაში იმ პოლიტიკასთან, რომელიც სავაჭრო პარტნიორ FTA-ს გაფორმებას გულისხმობს.

დასკვნის სახით, უნდა ითქვას, რომ თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის მეშვეობით მხარეებს შორის ეკონომიკურ ურთიერთობაში მეტად მოგებული რჩება ის მხარე, რომელსაც უფრო მეტად განვითარებული აქვს საექსპორტო პროდუქცია. ასევე, საქართველოსა და ევროკავშირს შორის, ისევე როგორც საქართველოსა და ჩინეთს შორის, თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები ახალგაფორმებულია და მისი გრძევადიანი  შედეგის გასაანალიზებლად გარკვეული დროის გასვლაა საჭირო, თუმცა მოკლევადიანი პერიოდის შედეგების დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ სქართველოსთვის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები ხელსაყრელია, ის ქართულ პროდუქციას დიდ სამომხმარებლო და რაც მთავარია დივერსიფიცირებულ ბაზრებს უხსნის და სამომავლოდ, საექსპორტო პოტენციალის განვითარების პირობებში, უკეთესი ეკონომიკური მომავლის იმედს იძლევა ქვეყნისთვის.

# კვლევა - ექსპერტები

თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებების ეფექტიანობის დასადგენად კვლევა ორ ეტაპად ჩატარდა, პირველი - მეორადი ინფორმაციის დამუშავება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემების გაანალიზების საფუძველზე. კვლევისას გამოიკვეთა ის ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები, რაც კორელაციაში თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებებთან, მათზე უშუალო დაკვირვების შედეგად კი დადგინდა რამდენად ეფექტურად იყენებს საქართველო თავისუფალი ვაჭრობით ნაკისრ შეღავათიან რეჟიმებს.

მეორე ეტაპი მოიცავს თვისობრივ კვლევას. კონკრეტულად კი სიღრმისეულ ინტერვიუებს ეკონომიკის დოქტორებთან, ანალიტიკოსებსა და ექსპერტებთან. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა ის ძირითადი კითხვები, რომლებიც თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებების გაფორმებისას ისმევა. ინტერვიუერებმა, რომელთა ასაკი 28 წლიდან 65 წლამდე მერყეობს, ჯამში 10 ინტერვიუერი, გასცენ ისეთ საკითხებს პასუხები, როგორიცაა თავისუფალი ვაჭრობის არსებობის მნიშვნელობა და მისგან მომავალი სარგებელი ქვეყნისთვის, რისკები, რაც შესაძლოა მსგავსი ხელშეკრულების არსებობის პირობებში მოდიოდეს, როგორც მოკლევადიან (3წელი) ასევე გრძელვადიან (10 წელი) პერიოდში, აუმჯობესებს თუ არა თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი კონკურენციას, რა შესაძლო გავლენას ახდენს ფასებზე, როგორ გავლენას ახდენს დასაქმებაზე, გეოგრაფიული მდგომარეობიდან გამომდინარე რა შესაძლებლობებსა და ზოგადად, რა გამოწვევების წინაშე აყენებს საქართველოს მსგავსი ტიპის ხელშეკრულების ქონა.

გამოკითხვის შედეგად, ინტერვიურებემა ცალსახად აღნიშნეს, რომ თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები საქართველოს აძლევს საშუალებას თავისუფალი წვდომა ჰქონდეთ იმ ქვეყნის სამომხმარებლო ბაზართან, ვისთანაც გაფორმებულია მსგავსი ტიპის ხელშეკრულება. ხელშეკრულების პოზიტიურ მხარეებში გამოიკვეთა მოცემული ქვეყნის/რეგიონის ბაზართან უკეთესი წვდომისა და მეტი კონკურენტუნარიანობის

ფაქტორი, დაახლოება სხვადასხვა გეოგრაფიულ წერტილში შექმნილი ცოდნისა და ტექნოლოგიების, აგრეთვე ადგილობრივი მცირე ბაზრის მასშტაბის გაფართოების შესაძლებლობა, რაც ბიზნესისთვის მეტად მნიშვნელოვანია და დივერსიფიკაციის ფაქტორიც, რომელიც საქართველოს არ გახდის რომელიმე კონკრეტულ ქვეყანაზე დამოკიდებულს.

თუმცა, ინტერვიურებმა ასევე აღნიშნეს, რომ თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმება, პირველ რიგში იმ ქვეყნების ინტერესებში შედის, რომლებსაც განვითარებული ინდუსტრიული და ფინანსური სექტორი გააჩნიათ. ეს მათი უპირატესობაა მსგავსი ტიპის ხელშეკრულებებით ოპერირებისას.

თავისუფალი ხელშეკრულებების არსებობის პირობებში მხარეებს შორის ეკონომიკური ურთიერთობისას, ინტერვიუერებმა შემდეგ შესაძლო ნეგატიური გავლენებზე ისაუბრეს - ადგილობრივი წარმოების შესუსტება, რადგან საქართველოს არ გააჩნია ძლიერი ადგილობრივი წარმოება და იმპორტირებულმა პროდუციამ, შესაძლოა ადგილობრივ პროდუქცია კონკურენციაში დაამარცხოს. შედეგად, ამას შესაძლოა მოჰყვეს ადგილობრივი ბაზრის დაზიანება და ადგილობრივი მეწარმეების უფრო უარეს დღეში ჩაყენება, ვიდრე თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმებამდე იყო. ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები საქართველოს დადებული აქვს ეკონომიკურად მასზე ძლიერ ქვეყნებთან (ჩინეთი, ევროკავშირი), ამან შესაბამისი გააზრებული საექსპორტო პოლიტიკის გარეშე, შეიძლება გაზარდოს მეორე მხარის შეფარდებითი უპირატესობა და შესაბამისად, საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსიც.

ინტერვიუერებმა თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებებისა და საქართველოს საინვესტიციო გარემოს კავშირზე აღნიშნეს, რომ ფორმალურად ამ ორ ცვლადს შორის კორელაცია არსებობს, თუმცა რეალურად, საქართველოს მაგალითზე, აღნიშნულ ფაქტორებს შორის კავშირი ნაკლებია, რადგან ხელშეკრულებების

გაფორმებას რაიმე მასშტაბური და მნიშვნელოვანი ინვესტიცია საქართველოში არ მოჰყოლია.

რაც შეეხება თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებების პირობებში ვაჭრობის გავლენას საქართველოში პროდუქციის ფასებზე, გამოკითხულ ინტერვიუერებს მიაჩნიათ, რომ მხარეებს შორის ამ ტიპის ეკონომიკური ურთიერთობა პროდუქციაზე ფასებს ამცირებს, თუმცა შემცირებული ფასების პარალელურად ადგილობრივ მწარმოებლებს უქმნის პრობლემებს, რაც ხშირშემთხვევაში მათი გაკოტრების მიზეზიც ხდება, რომელიც შემდგომ ნეგატიურ გავლენას ჰპოვებს დასაქმების, ადგილობრივი წარმოების, ვალუტის გადინების კუთხით. თუმცა, ამ შემთხვევაში გამოიკვეთა გარკვეული თავისებურებები, რაც საქართველოს სხვადასხვა სექტორსა თუ სფეროში არსებობს. ინტერვიუერებმა აღნიშნეს, რომ საქართველოს ეკონომიკა მონოპოლიური მიდრეკილებებით ხასიათდება, ფინანსური სექტორი დუოპოლიურია, ეკონომიკის სხვა დარგებიც მსგავს მდგომარეობაშია. მიუხედავად იმისა, რომ თითქოს თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკის შედეგად ფასები სურსათზე ან სხვა პროდუქტებზე დაბალი უნდა იყოს, ხშირ შემთხვევაში ეს ასე არის. მაგალითისთვის მათ წამლებზე ფასები დაასახელეს.

თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების არსებობის პირობებში, მეტი სამუშაო ადგილების შექმნის პერსპექტივაზე საუბრისას, ინტერვიუერებმა აღნიშნეს, რომ ამ მიმართულებით გარკვეული კავშირი იმ შემთხვევაში იქნება, როდესაც ხელშეკრულებების გაფორმების პარალელურად გაიზრდება საქართველოს საექსპორტო პოტენციალი, ქვეყნიდან იმაზე მეტი პროდუქცია გავა, ვიდრე ეს ხელშეკრულების გაფორმებამდე გადიოდა, რაც დამატებით მუშახელს მოითხოვს.

გარკვეული შეხედულებებისა და თეორიების მიხედვით, არსებობს მოსაზრება, რომ თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები ერთგვარი „პოლიტიკური იარაღია“, რაზეც ინტერვიუერებმა აღნიშნეს, რომ შეფარდებითი უპირატესობის რეჟიმი ის პრეფერენციაა, რომლებითაც პერიოდულად სარგებლობენ ძლიერი ქვეყნები

შედარებით სუსტებთან მიმართებაში. თუმცა, მსგავსი ტიპის ქვეყნები „პოლიტიკურ იარაღად“ იყენებენ არა მხოლოდ თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმს, არამედ მთელ რიგ ღონისძიებებს, რომლებსაც მიეკუთვნება ემბარგო, ტარიფების შემოღება, მათი გაზრდა, „პოლიტიკური ფასი“ (საბაზრო ფასისაგან განსხვავებით, გარკვეული საფასო შეღავათი პოლიტიკური მოკავშირეებზე სტრატეგიული ნედლეულის, მაგალითად, ბუნებრივი აირის მიყიდვისას), საქონლის ტრანზიტის შემთხვევაში მოგებაში თანამონაწილეობა და სხვა. ასე რომ, მოვლენათა გარკვეული სცენარით წარმართვის შემთხვევაში, მსგავსი თეორია სავსებით დასაშვებია.

რაც შეეხება თავისუფალი ვაჭრობის მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივას, გამოკითხულმა ინტერვიუერებმა აღნიშნეს, რომ მსგავსი ტიპის ხელშეკრულებები ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გარკვეულ სტრატეგიაში უნდა ჯდებოდეს და მასზე ხელის მოწერა უბრალოდ იმიტომ, რომ ის „კარგია“, არ უნდა მოხდეს. ასევე, თუ გრძელვადიან პერიოდში ადგილი ექნება სავაჭრო დეფიციტის სისტემატურ და მასშტაბურ ზრდას, ამგვარი ხელშეკრულებების დამდებ მეორე მხარესთან, შეიძლება ქართულმა მხარემ იფიქროს დამატებითი პირობების შემოტანაზე ამ ხელშეკრულებაში, მაგალითად, კვოტირების კუთხით.

საქართველოს გეოგრაფიული არეალის გათვალისწინებით, ინტერვიურებმა ხაზსგასმით აღნიშნეს, რომ საქართველოს მისი ადგილმდებარეობის გამოყენება უფრო უკეთ მართებს, იმავე ტავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებების კონტექსტში. სატრანზიტო ფუნქცია - დამაკავშირებელი ევროპისა და აზიის, სატრანსპორტო, საკომონიკაციო და ფინანსურ ჰაბად ჩამოყალიბების კარგ საშუალებას იძლევა, რასაც თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები იგივე ჩინეთთან და ევროკავშირთან კიდევ უფრო მეტ სტიმულსა და შესაძლებლობებს მატებს.

## შედეგების ინტერპრეტაცია

ქვეყნებს შორის ინტეგრირება აუცილებელია ცალკეული მხარეების მიერ მიღწეული ტექნოლოგიური, მეცნიერული თუ სხვა კუთხით მიღწეული კეთილდღეობისა და განვითარების გასაზიარებლად. ვაჭრობა და გასაღების ბაზრების არსებობა კი აუცილებელი წინა პირობაა განვითარებისთვის. თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის არსებობის პირობებში ზემოთ აღნიშნული პროცესები მარტივდება, თუმცა არსებობენ ქვეყნები, რომლებიც ამ რეჟიმზე უარს ამბობენ, რის მიზეზებზეც აღნიშნულ ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია.

ორივე კვლევის - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე და უშუალოდ ეკონომისტების სიღრმისეული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებების გაფორმოების პირობებში, უფრო მეტ სარგებელს ნახულობს ის ქვეყანა, რომელსაც უფრო მეტად განვითარებული აქვს საექპორტო პროდუქტები.

იმ ქვეყნების უმრავლესობას კი, ვისთანაც საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი აკავშირებს, ეკონომიკა საკმაოდ განვითარებული აქვს (მაგალითად, ჩინეთი, ევროკავშირი), ამ კუთხით საქართველო კონკურენტუნარიანობაში აგებს. საჭიროა ამ კონკურენციის დაძლევა სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების საშუალებით.

ასევე, თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებების გაფორმებისას, საქართველომ გამართული, ადეკვატური ხელშეკრულება უნდა გააფორმოს, მაგალითად თურქეთთან 2007 წელს გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება თურქულ მხარეს გაცილებით მეტ სარგებელს აძლევდა, ვიდრე ქართულს, რადგან საქართველოდან გარკვეული სახის სოფლის მეურნეობის პროდუქციის შეტანა არ შეიძლებოდა, თურქეთულ მხარეს კი მსგავსი ბარიერი არ ჰქონდა, რამაც შეიძლება ითქვას, რომ სხვა ფაქტორებთან ერთად დიდი დარტყმა მიაყენა ქართულ სოფლის მეურნეობის წარმოების ინდუსტრიას.

## დასკვნის სახით

საქართველოს სამომხმარებლო ბაზარი პატარაა, ჯამში 3.7 მილიონი ადამიანით. მოქალაქეების მსყიდველუნარიანობა არც ისე მაღალია. აქედან გამომდინარე, ჩატარებული კვლევების საფუძველზე, ვფიქრობთ, რომ საქართველოს მთავრობის და ეკონომიკის სამინისტროს უშუალო პრეროგატივა უნდა იყოს შემდგომი:

**საექპორტო პოტენციალის გაზრდა;**

დღესდღეისობით საქართველოს საექსპორტო პოტენციალს ძირითადად წარმოადგენს მადნები, ფეროშენადნობები და სასუქი ქიმიკატები. მართალია, საქართველო ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ქვეყანა არ არის და არ მოიპოვება ისეთი ბუნებრივი რესურსები, როგორებიცაა ნავთობი და ბუნებრივი აირი, თუმცა თანამედროვე მსოფლიოს პრაქტიკაში ვხვდებით ისეთ ქვეყნებს, რომლებიც ამის გარეშეც ახერხებენ წარმატების მიღწევას. საქართველოს ძლიერი პოტენციალი გააჩნია ღვინის საექპორტო მიმართულებით.

ბოლო პერიოდში სამთავრობო დონეზეც გამოიკვეთა ამ სექტორის გაძლიერების წინადადებებიც, რაც ქართული ღვინისისათვის გასაღების ბაზრების მეტად განვითარებიაში გამოიხატება. გარდა ამისა, დაგეგმილია ქართული ღვინის უფრო მაღალ გადახდისუნარიან სეგმენტში გადასვლა, რაც პირველ რიგში ღვინის წარმოების სტანდარტების ამაღლებას გულისხმობს. ასევე, საქართველოს გააჩნია ყველის უნიკალური ჯიშები, რომლებსაც თავისუფლად შეუძლია მსოფლიო ბაზარზე საკუთარი ნიშის დამკვიდრება და კონკურენციის გაწევა იმავე შვეიცარიული ყველისთავის. საქართველოში ვხვდებით ყველის ისეთ უნიკალურ და უძველეს სახეობებს როგორებიცაა დამბალხაჭო, კალკი, ჩოგი და სხვა.

მართალია, დღევანდელი სურათით, მათი ფართომაშტაბიანი წარმოება არ ხდება, რადგან წარმადობის გაზრდას საქონლის რაოდენობის გაზრდა და სწორი კვება

სჭირდება, თუმცა ეს მიუღწევადი ნამდვილად არ არის. კიდევ ერთი პროდუქტი, რომელსაც საექპორტო პროდუქციად ქცევის დიდი პერსპექტივა აქვს თაფლია. ქართული თაფლი თავისი უნიკალური მახასიათებლებით გამოირჩევა და ამ თვისების გათვალისწინებით ნელ-ნელა ფეხს იკიდებს ევროკავშირის ბაზარზე. პრობლემა აქაც მაღალი სტანდარტების დაწესება და წარმადობის გაზრდაა. ერთ-ერთ ძირითად საექპორტო პროდუქციად გადაქცევის კარგი შანსი აქვს თხილსაც. რომ არა აზიური ფაროსანას პრობლემა, ქართული თხილის სექტორი დღეს გაცილებით განვითარებული იქნებოდა, რადგან სპეციალისტები ერთხმად აღნიშნავენ ქართული თხილის უნიკალურ მახასიათებლებს, რომელმაც ევროკავშირის ბაზარზე საკმაო კონკურენცია გაუწია თურქულ თხილს.

ყველა ზემოთ მოყვანილი პროდუქტი ხასიათდება ძირითადი, მთავარი პრობლემით - ჩინეთის და განსაკუთრებით ევროკავშირის ბაზარზე შესვლისას საჭიროა წარმოების მაღალი სტანდარტების ქონა, რადგან მცენარეული და ცხოველური პროდუქტების შეშვებას ამ ბაზრებზე დიდი სიფრთხილით ეკიდებიან, აწესებენ მაღალ სტანდარტებს და გარკვეული კომპანიები გარკვეული რაოდენობის კვოტებსაც, რომლის ქვემოთაც პროდუქციას არ იღებენ. ამიტომ, წარმოებისას მაღალი სტანდარტების დაცვლის შემთხვევაში, სავსებით შესაძლებელია იმავე ევროკავშირის მაღალ მსიყველუნარიანი ბაზრის ათვისება ამ ქართული პროექტების მიერ.

**იმპორტდამოკიდებულების შემცირება;**

იმპორტდამოკიდებულება საქართველოსთვის არახალია. ადგილობრივი წარმოების სისუსტის გამო, ქვეყანაში იმპორტის სახით სამომხმარებლო პროდუქციის მეტი წილი შემოდის. საგარეო ვაჭრობაში საქართველოს უარყოფითი სალდო აქვს და ის მინუს 5,7 მილიარდს შეადგენს 2018 წლის მონაცემებით. ერთის მხრივ, ეს დოლარზე დამოკიდებულებასაც გვიზრდის და მეორეს მხრივ სავალუტო კურსის მიმართ მოწყვლად გარემოს ქმნის. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ იმპორტდამოკიდებულების შემცირება აუცილებელია, რაც პირველ რიგში საექსპორტო პროდუქციისა და

საექპორტო ბაზრების ათვისებით უნდა მოხდეს. საექსპორტო პოტენციალის ათვისების ჩვენისეულ ხედვაზე ზემოთ ვისაუბრეთ.

**ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობა;**

საექსპორტო ბაზრების ათვისებისთვის სხვადასხვა სახელმწიფოები ხშირად მიმართავენ ადგილობრივი წარმოების ხელშემწყობ ხერხებს. მაგალითად, პროტექციონიზმს, ანტიდემპინგურ კანონმდებლობას, სუბსიდირებას და სხვა. საქართველოს რეალობაში ადგილობრივი მწარმოებლების მხრიდან ხშირად ხდება აპელირება ანტიდემპინგური კანონმდებლობის არ არსებობაზე, რაც პრობლემას უქმნის ადგილობრივ მწარმოებლებს გარკვეულ სექტორებში. ისინი არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შედეგად ზარალს ნახულობენ და ვერ ვითარდებიან (მაგალითად, ხორბლის, ცემენტის წარმოების, არმატურის მწარმოებლები, კვერციხპროდუქტების მწარმოებლები). ისეთი გარდამავალი ეკონომოკის მქონე ქვეყნისთვის კი, როგორიცაა საქართველო, რომელსაც ძლიერი ადგილობრივი წარმოება არ გააჩნია, საჭიროა მსგავსი ბერკეტებით ადგილობრივი მწარმოებლების დაცვა.

**ფართო მასშტაბიანი პიარ-კამპანიების ჩატარება ცნობიერების ამაღლების მიზნით;**

სამართლიანად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მიერ გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებებიდან მომავალი სარგებლის მნიშვნელობა საქართველოს მოსახლეობის დიდმა ნაწილმა არ იცის ან მათი ცნობიერების დონე ამ მიმართულებით დაბალია. საჭიროა ამ კუთხით პიარ-კამპანიების გაძლიერება, რომ უფრო ბევრ ადამიანს გაუჩნდეს ბიზნესის წამოწყების სურვილი და ასევე, უკვე არსებულმა ბიზნესმა, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო ბიზნესმა, ადეკვატურად აღიქვას ამ ხელშეკრულებებიდან მომდინარე პერსპექტივები, რათა უფრო განვითარდნენ.

**თანაბარ პირობიანი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებების გაფორმება**

თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებების გაფორმებისას, ქართულმა მხარემ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ის ფაქტორი, რომ ხელშეკრულება არ იყოს ერთი მხარისთვის უფრო მეტად სარგებლიანი, ვიდრე მეორე მხარისთვისაა. ხელშეკრულების გაფორმებისას, გარკვეულ შემთხვევებში ერთ მხარეს გარკვეულ პროდუქტებზე კვოტები უწესდებათ. ეს, შეიძლება მოკლევადიან პერიოდში, თუმცა გრძელვადიან პერიოდში მსგავსი დათქმის არსებობა იმ სექტორს უქმნის პრობლემას, რომელსაც კვოტა დაწესებული პროდუქტი წარმოადგენს. მაგალითად შეიძლება მოყვანილი იყოს, იმავე თურქეთთან გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება, რომელიც სოფლის მეურნეობის პროდუტების საქართველოდან თურქეთში გატანას უქმნიდა პრობლემას. შედეგად, მსგავსმა მიდგომამ სოფლის მეურნეობის სექტორს, შეიძლება ითქვას, რომ დიდი დარტყმა მიაყენა, რადგან თურქეთიდან იმპორტირებულმა სოფლის მეურნეობის პროდუქციამ ადგილობრივი, ქართული პროდუქცია ძალიან შეავიწროვა და ბაზარზე რაკონკურენტული გარემო შექმნა. ამიტომ, თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებების გაფორმებისას, აუცილებელია ამ წარსული გამოცდილების გათვალისწინება და თანაბარ მნიშვნელოვანი ხელშეკრულების გაფორმება.

# ბიბლიოგრაფია


1. Azua, Jon. 2015. The Case for Trade and Competitiveness. World Economic Forum. http://www3.weforum.org/docs/WEF_GAC_Competitiveness_2105.pdf;
2. Bartley Johns, Marcus, Paul Brenton, Massimiliano Cali, Mombert Hoppe, და Roberta Piermartini. 2015. The role of trade in ending poverty. World Bank Group. http://documents.worldbank.org/curated/en/726971467989468997/pdf/97607-REPLACEMENT-The-Role-of-Trade-in-Ending-Poverty.pdf;
3. Chang, Ha-Joon. 2010. 23 Things They Don't Tell You about Capitalism. https://marcell.memoryoftheworld.org/Ha-Joon-Chang/;
4. Gallo, Jenell. 2014. Free Trade Agreements : Selected Analyses From NAFTA to the Trans-Pacific Partnership;
5. Hayakawa, Kazunobu, Nuttawut Laksanapanyakul, Hiroshi Mukunoki, და Shujiro Urata. 2018. Impact of free trade agreement use on import prices. World bank group. http://documents.worldbank.org/curated/en/739011524146785121/pdf/WPS8416.pdf;
6. Healey, Justin. 2014. Free Trade and Globalisation. https://www.rbsclibrary.com/uploads/1/1/5/7/11579595/free_trade_and_globalisation_2.pdf;
7. Laget, Edith, Alberto Osnago, Nadia Rocha, და Michele Ruta. 2018. Deep trade agreements and global value chains . World Bank Group. http://documents.worldbank.org/curated/en/356541529933295649/pdf/WPS8491.pdf;
8. World Trade Organization, 2008. "Understanding The WTO". https://www.wto.org/english/thewto_e/whatis_e/tif_e/understanding_e.pdf;

9. ლეკაშვილი, ეკა. 2012. საერთაშორისო და რეგიონული ეკონომიკური ორგანიზაციები. თსუ.
10. გურგენიძე, პაატა. „თავისუფალი ვაჭრობა კრიზისშია." European.ge. http://european.ge/tavisufali-vachroba-krizisshia/;
11. დანელია, ირაკლი. 2017. „საქართველო-ჩინეთის თავისუფალი ვაჭრობა." Forbes.ge. http://forbes.ge/news/2712/Tavisufali-vaWroba;
12. Giles, Chris.. CNN 44 African countries agree free trade agreement, Nigeria yet to sign.. https://edition.cnn.com/2018/03/22/africa/african-trade-agreement-world/index.html (23.03.2015);
13. BBC. Trump executive order pulls out of TPP trade deal. https://www.bbc.com/news/world-us-canada-38721056 (27.01.2017);
14. Henry Meyer, Laurence Arnold and Olga Tanas. The Washington Post.. https://www.washingtonpost.com/business/all-about-the-us-sanctions-aimed-at-putins-russia/2019/04/07/89352cc0-5988-11e9-98d4-844088d135f2_story.html?noredirect=on&utm_term=.f20425fd2508. (08.04.2019);
15. Joshua Gallu. Bloomberg.com. U.S. Sanctions Iran's Biggest Chemical Firm Over Military Ties. https://www.bloomberg.com/news/articles/2019-06-07/u-s-sanctions-iran-s-biggest-chemical-firm-over-military-ties (07.06.2019);
16. Paul Wiseman, Frank Bajak and Yanan Wang. The Diplomat.com Chinese Media Suggest Rare Earth Embargo on US Amid Trade War

https://thediplomat.com/2019/05/chinese-media-suggest-rare-earth-embargo-on-us-amid-trade-war/. (30.05.2019);

17. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. საქართველოში მოქმედები სავაჭრო რეჟიმები და საერთაშორისო ხელშეკრულებები. http://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=12;
18. გიორგი ცუცქირიძე. Georgian Times. თავისუფალი ეკონომიკური ზონების პერსპექტივები. http://newsday.ge/new/index.php/ka/component/k2/item/35256-%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98. (01.02.2018);
19. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. 2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია http://mfa.gov.ge/getattachment/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy/2019-2022-clebis-saqartvelos-sagareo-politikis-strategia.pdf.aspx);
20. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმება http://www.economy.ge/index.php?page=economy&s=7;
21. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის http://www.economy.ge/uploads/files/2017/foreign_trade/tavisufali_vachrobis_shetanxmeba_georgia_china/shetankhmeba_2018/1_china_georgia_fta_geo.pdf. (2017);
22. Forbes Georgia. *საქართველოსა და ჰონგ კონგს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეტანხმება გაფორმდა.* https://forbes.ge/news/4196/saqarTvelosa-da-hong-kongs-Soris-SeTanxmeba-gaformda (28.06.2018);
23. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვიტარების სააგენტო. საქართველოსა და EFTA-ს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება ძალაში შევიდა. http://www.economy.ge/?page=news&nw=283&s=saqartvelosa-da-eftas-qveynebs-shoris-tavisufali-vachrobis-shesaxeb-shetanxmeba-dzalashi-shevida;
24. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. საქართველოში მოქმედი სავაჭრო რეჟიმები და საერთაშორისო ხელშეკრულებები. http://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=12;